




# B4

## ევროკოდები: ევროკავშირის პოლიტიკის მხარდაჭერა და მზარდი კონკურენტუნარიანობა



ეს ბუკლეტი შემუშავდა  
გაერთიანებული კვლევითი ცენტრის მიერ (JRC)  
ხელშეკრულების ფარგლებში,  
მრეწველობისა და ინდუსტრიის გენერალურ დირექტორატსა და გაერთიანებულ  
კვლევით ცენტრს შორის,  
რომელიც ეხებოდა ევროკოდების დანერგვის მხარდაჭერას, ჰარმონიზაციას და შემდგომ  
შემუშავებას.

ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია არ არის აუცილებელი ასახავდეს ევროკომისიის  
ოფიციალურ პოზიციას JRC 42743

© ევროპული გაერთიანება, 2008

რეპროდუქცია დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველი წყაროზე დაყრდნობით.

ეს ბროშურა ხელმისაწვდომია ინტერნეტის შემდგომი მისამართიდან:

<http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

ევროკოდი - “ვაშენებთ მომავალს” <http://eurocodes.jrc.ec.europa.eu>

მრეწველობისა და ინდუსტრიის გენერალური დირექტორატი, მშენებლობის სექტორი:

[http://ec.europa.eu/enterprise/construction/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/construction/index_en.htm)

CEN <http://www.cen.eu>

# 1. ევროკოდები

## 1.1. განრიგი

1975 წელს ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სამშენებლო სფეროში სამოქმედო პროგრამის შექმნის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მოხსნას და ტექნიკური სპეციფიკაციების ჰარმონიზებას. ამ სამოქმედო პროგრამის ფარგლებში ევროკომისიამ მიიღო ინიციატივა სამშენებლო სამუშაოების დაპროექტებისათვის ჰარმონიზებული ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავების შესახებ, რომელიც ჩაანაცვლებს განსხვავებულ წესებს წევრ სახელმწიფოებში.

ევროკოდები არის ევროპული სტანდარტების კრებული (EN) შენობებისა და ნაგებობების დაპროექტებისათვის, სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებისათვის და სამშენებლო პროდუქციისათვის, რომელიც შემუშავდა Comité Européen de Normalisation (CEN) მიერ. ისინი შედგება ნაციონალური გამოცდილებისა და კვლევის შედეგებისგან, აგრეთვე ტექნიკური კომიტეტის CEN 250 (CEN/TC250), საერთაშორისო ტექნიკური და სამეცნიერო ორგანიზაციების ექსპერტიზისაგან, და წარმოადგენს კონსტრუქციის დაპროექტების საერთაშორისო სტანდარტებს.

## 1.2. გამოყენების სფერო

ევროკოდები უზრუნველყოფს დაპროექტების ნორმებს მთლიანი კონსტრუქციის დაპროექტებისათვის, რომლის კომპონენტები და სამშენებლო მასალები არის, როგორც ტრადიციული ასევე ინოვაციური.

„საბჭომ ანონიმურად უნდა იმუშაოს ევროკომისიის წინადადებაზე და ევროპარლამენტთან და ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდგომ გამოსცეს დირექტივა წევრ სახელმწიფოებში კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს საერთო ბაზრის შექმნაზე ან ფუნქციონირებაზე“.

ევროპის გაერთიანების ხელშეკრულება, მუხლი 94.

EN 1990	ევროკოდი: კონსტრუქციული დაპროექტების საფუძველები
N 1991	ევროკოდი 1: კონსტრუქციებზე ზემოქმედება
EN 1992	ევროკოდი 2 : ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1993	ევროკოდი 3: ფოლადის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1994	ევროკოდი 4: კომპოზიციური ფოლადის და ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1995	ევროკოდი 5: ხის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1996	ევროკოდი 6: ქვის/აგურის კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1997	ევროკოდი 7: გეოტექნიკური დაპროექტება
EN 1998	ევროკოდი 8: სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება
EN 1999	ევროკოდი 9: ალუმინის კონსტრუქციების დაპროექტება

ევროკოდები მოიცავს ყველა ძირითად სამშენებლო მასალას (ბეტონი, ფოლადი, ხე, ქვის / აგურის წყობა და ალუმინი), კონსტრუქციების დაპროექტების ყველა მნიშვნელოვან სფეროს (კონსტრუქციის დაპროექტების საფუძვლები, დატვირთვები, ხანძარი, გეოტექნიკური დაპროექტება, მიწისძვრა და ა. შ.), აგრეთვე კონსტრუქციის სახეებისა და პროდუქციის ფართო სპექტრს (შენობები, ხიდები, კოშკები და ანძები სილოსები და ა. შ.).

### 1.3. ოფიციალური ჩარჩო

შემდეგი მთავარი მითითებები და დოკუმენტაცია წარმოადგენს ოფიციალურ კავშირს ევროკოდებსა და ევროპულ კანონმდებლობას შორის:

- საბჭოს დირექტივა 89/106/EEC „წევრ სახელმწიფოთა შორის სამშენებლო პროდუქციის შესახებ კანონმდებლობის, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების შესახებ“ (სამშენებლო პროდუქციის დირექტივა).
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 98/34/EC ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების სფეროში პროცედურის ჩამოყალიბება ინფორმაციით უზრუნველყოფისათვის.
- ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2004/18/EC „საზოგადოებრივი სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების მიწოდების კონტრაქტებისთვის პროცედურების კოორდინირების შესახებ“.
- ევროკომისიის რეკომენდაცია 2003/887/ EC „სამშენებლო სამუშაოებისათვის და სამშენებლო პროდუქციისათვის ევროკოდების დანერგვისა და გამოყენების შესახებ“.
- სახელმძღვანელო ფურცელი L - ევროკოდების გამოყენება.

### 1.4. ევროკავშირის პოლიტიკა ევროკოდებთან მიმართებაში

ევროკოდები არის ყველაზე მთავარი და აუცილებელი ინსტრუმენტი სამშენებლო პროდუქციისა და მომსახურების წარმატებულად რეალიზებისათვის შიდა ბაზარზე. ევროკოდებს წვლილი შეაქვს მშენებლობის დროს ევროპის მოქალაქეების უსაფრთხოების საქმეში.

დაპროექტებისათვის საერთო საფუძვლის უზრუნველყოფით ევროკოდები ხელს უწყობს ევროკავშირის რამდენიმე სხვა პოლიტიკას, მაგ: სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ-კონსტრუქტორულ სამუშაოებს, მეწარმეობას,

*„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ევროკოდები, როგორც შესაფერისი საშუალება სამშენებლო სამუშაოების დაპროექტებისათვის ს, კომპონენტების მექანიკური სიმტკიცის ან კონსტრუქციების სტაბილურობის შესამოწმებლად“.*  
*კომისიის რეკომენდაცია 2003/887/EC.*

კონკურენციას, გაფართოებასა და რეგიონალურ პოლიტიკას, ასევე მხარს უჭერს ლისაბონის განახლებული სტრატეგიის მიზნებს განვითარებისა და სამუშაოსათვის.

გარდა ამისა, ევროკოდები ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობასა და ევროპის კეთილმეზობლურ პოლიტიკას მშენებლობის სტანდარტიზაციაში.



*ევროკავშირის პოლიტიკა ევროკოდებთან მიმართებაში.*

## 2. ახალი შესაძლებლობები მსოფლიო ბაზარზე

### 2.1. შიდა ბაზარი, მომხმარებელთა უსაფრთხოება და კონკურენცია

#### მომსახურებისა და საქონლის თავისუფალი მოძრაობა

ევროპის საცალო ბაზარი გაიხსნა 1992 წელს, რომელიც ეხება ხალხის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას.

საცალო ბაზარი მომხმარებელს სთავაზობს უკეთეს ფასს და საქონლისა და მომსახურების უფრო ვართო არჩევანს. კომპანიები, რომლებიც ყიდნიან თავიანთ პროდუქციას საცალო ბაზარზე, იციან,

რომ მათ აქვთ ევროკავშირში შეუზღუდავად შესვლის უფლება 500 მილიონ მომხმარებელთან, რითაც შესაძლებელია მასშტაბის ეფექტის მიღწევა, რაც ნიშნავს უფრო დაბალ ფასებს. საცალო ბაზარი არის ასევე პლაცდარმი ევროპის კომპანიებისათვის დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე გასაფართოებლად.

### მომხმარებელთა უსაფრთხოება

მომხმარებელთა ფუნდამენტური უფლებები მოიცავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის უფლებას, რომელიც ეფუძნება საუკეთესო მეცნიერულ კონსულტაციასა და კანონმდებლობას, რომელიც იძლევა უსაფრთხო პროდუქციისა და მომსახურების გარანტიას. პოლიტიკა მიზნად ისახავს დაცვის შესაბამისი ხარისხით კმაყოფილი მომხმარებლის აქტიურ მონაწილეობას საცალო ბაზარზე.

სამომხმარებლო პოლიტიკა არის უფრო ზოგადი პოლიტიკის ნაწილი, რომელიც ავსებს საცალო ბაზარს. სამომხმარებლო პოლიტიკას გააჩნია განივი ასპექტები, მაგ: ზემოთხსენებული მიზნები, რომლებიც აერთიანებს ამა თუ იმ კონკრეტულ პოლიტიკას, გავლენას ახდენს მომხმარებელზე.

მომხმარებელს სჭირდება უფრო მარტივი და უნიფიცირებული წესები და გამოყენების ერთიანი ხარისხი მთელს ევროკავშირში. ამ თვალსაზრისით, მშენებლობაში ევროპული სტანდარტების შემუშავება არის ის გზა, რომელიც ხელს შეუწყობს მშენებლობის დროს ევროპის მოქალაქეების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

ევროკოდები უზრუნველყოფს მეთოდებს მექანიკური სიმტკიცის, სტაბილურობის, ხანძრის მიმართ გამძლეობის, მოხმარების უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია სამშენებლო პროდუქციის დირექტივაში. გარდა ამისა, ევროკოდები უზრუნველყოფს მშენებლობის უნიფიცირებულ დონეს ევროპის სხვადასხვა რეგიონებში.

ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად ბიზნესს ლიდერთა უმრავლესობა ელოდება მომავალში, რომ საცალო ბაზარი შესაძლებლობას მისცემს კომპანიელებს წესების ერთი კრებულის საფუძველზე აწარმოონ ბიზნესი, მაგ. ევროკოდები სამშენებლო სექტორში.

„შიდა ბაზარი უნდა მოიცავდეს რეგიონს შინაგანი საზღვრების გარეშე, სადაც საქონლის, ადამიანების, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა იქნება შესაძლებელი“.

ევროპის გაერთიანების ხელშეკრულება, მუხლი 14.

ევროკომისიამ თავის წინადადებაში, რომელიც ეხება მომხმარებელთა უსაფრთხოებასა და დაცვას „უნდა უზრუნველყოს დაცვის მაღალი დონე და გაითვალისწინოს მეცნიერულ ფაქტებზე დაფუძნებული ყველა ახალი მიღწევა“.

ევროპის გაერთიანების ხელშეკრულება, მუხლი 95.

## სახელმწიფო შესყიდვა

სახელმწიფო შესყიდვა მოიცავს მომარაგებას, მომსახურებასა და სამუშაოებს, რომელიც შესყიდულია სახელმწიფო სექტორის მიერ. ევროპული კანონმდებლობა (მაგ: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2004/18/EC „საზოგადოებრივი სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების მიწოდების კონტრაქტებისთვის პროცედურების კოორდინირების შესახებ“) უზრუნველყოფს ბიზნესის მიმართ სამართლიან დამოკიდებულებას.

ევროკოდები გამოიყენება ხელშეკრულების დამდები სახელმწიფო ორგანოს მიერ, როგორც მითითება ტექნიკური სპეციფიკაციებისათვის საზოგადოებრივი მომსახურებისა და საზოგადოებრივი სამუშაოების ტენდერებისათვის. ეს გარანტია იმისა, რომ ტენდერის ყველა მონაწილისათვის ხელმისაწვდომია ერთნაირი ინფორმაცია და პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი.

## კონკურენტუნარიანობა

საერთო მიზანს წარმოადგენს ჩარჩო პირობების მოწესრიგება, რაც ევროპულ კომპანიებს ზრდისა და წარმატებული კონკურენციის შესაძლებლობას მისცემს ძლიერ და ახალ კონკურენტებთან მსოფლიო ბაზარზე.

ეფექტური კონკურენცია ამცირებს ფასებს, ზრდის ხარისხს და შესაძლებლობას აძლევს ტექნოლოგიურ ინოვაციას წარმატებით განვითარდეს. გამჭვირვალე მარეგულირებელი გარემო, რომელსაც მხარს უჭერს ჰარმონიზებული ტექნიკური წესები, არის კონკურენტუნარიანობისათვის მთავარი ბიძგის მიმცემი.

ჰარმონიზებული სისტემის წესებისათვის პირობების შექმნით, ევროკოდები გააძლიერებს ევროპის სამშენებლო კომპანიებს, კონტრაქტორებს, დამპროექტებლებსა და პროდუქციის მწარმოებლებს შორის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო მასშტაბით.

## კონკურენცია

კონკურენციის პოლიტიკა ძალზე მნიშვნელოვანია შიდა ბაზრისათვის. შიდა ბაზრის არსებობის მიზანს წარმოადგენს კომპანიებისათვის კონკურენციის გაწევის შესაძლებლობის მიცემა ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში. კონკურენციის პოლიტიკა

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად ევროპის სახელმწიფო შესყიდვის წესებმა ყველაზე დადებითი გავლენა მოახდინა სამშენებლო კომპანიებზე.

ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში კონკურენტუნარიანობა გახდა ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

გაერთიანების საქმიანობები უნდა მოიცავდეს „სისტემას, რომელმაც უნდა უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია შიდა ბაზარზე“ ევროგაერთიანების ხელშეკრულება, მუხლი 3.

ხელს უწყობს ეკონომიკის ეფექტურობას ინოვაციისათვის და ტექნიკური პროგრესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით.

ევროპის კონკურენციის პოლიტიკა უზრუნველყოფს ჯანსაღ კონკურენციას. საბაზრო ეკონომიკაში კონკურენცია ხელს უწყობს წარმატებულ ეკონომიკას, იცავს ევროპის მომხმარებელთა ინტერესებს და ევროპული კომპანიები, საქონელი და მომსახურება არის კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

სამშენებლო ინდუსტრიაში ევროკოდები წარმოადგენს საერთო და გამჭვირვალე საფუძველს სამართლიანი კონკურენციისათვის.

## 2.2. საწარმო

საწარმოს პოლიტიკის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება ბიზნესის შესაქმნელად და განსავითარებლად, განსაკუთრებით ეს ეხება წვრილ და საშუალო საწარმოებს. ეს არის მათი კონკურენტუნარიანობის, განვითარებისა და დასაქმების უმთავრესი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ლისაბონის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.

ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი მომენტია:

- ევროპული კონკურენტუნარიანობისათვის ხელის შეწყობა;
- ინოვაციისათვის ხელის შეწყობა;
- მარეგულირებელი და ადმინისტრაციული გარემოს გამარტივება;
- შიდა ბაზრის საქონლით შევსება;

## სტანდარტიზაცია

ევროპული სტანდარტიზაცია მხარს უჭერს შემდეგ მნიშვნელოვან ევროპულ პოლიტიკას:

- ლისაბონის სტრატეგიას;
- საცალო ბაზარს;
- ევროპული საწარმოების კონკურენტუნარიანობას;
- უკეთეს რეგულაციას;
- კვლევასა და ინოვაციას;
- სახელმწიფო შესყიდვას

გარდა ამისა, ევროპული სტანდარტები:

- აუმჯობესებს პროდუქციის უსაფრთხოებას;
- ხელს უწყობს მასშტაბის ეფექტს;
- შესაძლებლობას აძლევს მწარმოებელს ევროპის კანონმდებლობის შესაბამისად იმოქმედოს;
- ხელს უწყობს საერთო გაგებას.



წევრმა

სახელმწიფოებმა უნდა „აღიარონ, რომ ევროკოდები ზრდის შესაბამისობის დამოწმების ვარაუდებს, რომელშიც შეესაბამება დირექტივის აუცილებელ მოთხოვნებს. 89 / 106 / EEC კომისიის რეკომენდაცია 2003 / 887 / EC.



ევროპის ეკონომიკურ ზონაში ვაჭრობა ნებადართულია და არსებული საქონელი და მომსახურება შეესაბამება დირექტივას. საკმარისია, მომხმარებელმა ერთხელ მოაწეროს ხელი შესაბამისობის დეკლარაციას, რომ პროდუქცია დაბრკოლების გარეშე მოხვდება ევროპის ეკონომიკურ ზონაში

ევროკოდები არის ევროპული სტანდარტები, რომელიც შემუშავებულია 89 /106/EEC საბჭოს დირექტივის პირობებში, რომელიც წარმოადგენს ევროპულ კანონმდებლობას სამშენებლო პროდუქციის შესაბამისობის დამოწმების შესახებ.

### 2.3. სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-კონსტრუქტორული სამუშაოები

„გამოკვლევისა და განვითარების“ პოლიტიკა არის ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტი და ლისაბონის სტრატეგიისათვის ყველაზე მთავარი ევროპაში დასაქმებისა და ზრდის ხელშეწყობისათვის. გამოკვლევა განათლებასთან და ინოვაციასთან ერთად ქმნის „ცოდნის სამკუთხედს“, რაც შესაძლებლობას მისცემს ევროპას შეინარჩუნოს ეკონომიკური დინამიზმი და სოციალური მოდელი.

გამოკვლევისა და ინოვაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა 2005 წელს მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს გამოკვლევისა და განვითარებისათვის ადგილის მიჩენას ევროკავშირის პოლიტიკის, ევროკავშირის დაფინანსებისა და ბიზნესის საფუძველში.

#### ევროპის კვლევის არეალი

ევროპის კვლევის არეალი აერთიანებს ევროგაერთიანების ყველა წყაროს, რათა უკეთ მოხდეს გამოკვლევისა და ინოვაციის კოორდინირება, როგორც წევრი სახელმწიფოების, ასევე ევროკავშირის დონეზე. ევროკავშირის გამოკვლევის არეალის მიზანია, მკვლევარებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის თავისუფალი თანამშრომლობით ევროკავშირის გამოკვლევა გახდეს უფრო ეფექტური.

#### ინოვაცია

ინოვაცია ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირისათვის კონკურენტუნარიანობისა და საზოგადოების მოდელის შესანარჩუნებლად. სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-კონსტრუქტორული სამუშაოების მაღალი დონე და ინოვაციის კარგი

ევროკოდებმა ხელი უნდა შეუწყოს საერთო კვლევების განვითარებას, რომლებსაც ევროგაერთიანების სხვადასხვა პირი ახორციელებს და ასევე ხელი უნდა შეუწყოს ამ კვლევის შედეგების გავრცელებას, რაც მიიღწევა პროფესიული ტრენინგებით / სწავლებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს უფრო უსაფრთხო მშენებლობასა და სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოებს ევროგაერთიანებაში“ . კომისიის რეკომენდაცია 2003 / 887 / EC.



მაჩვენებელი იძლევა უფრო მეტი და უკეთესი დასაქმების შესაძლებლობას.

ევროკომისია უჩვენებს გზებს, რომლებიც თან ახლავს ინდუსტრიულ ინოვაციას სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად. ლისაბონის ზრდისა და დასაქმების განახლებული სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ინოვაციური პროდუქციისათვის და მომსახურებისათვის პირობების შექმნა ბაზარზე წარმატებით განთავსებისათვის. დაპროექტების საერთო ჩარჩოს შემუშავებით, ევროკოდები იქნება საერთო საფუძველი სამოქალაქო მშენებლობაში სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-კონსტრუქტორული სამუშაოებისათვის.

## 2.4. რეგიონალური პოლიტიკა

რეგიონალური პოლიტიკის მიზანია ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის გაძლიერება განვითარების დონის სხვაობის შემცირებით რეგიონებში და წევრ სახელმწიფოებში. რეგიონში ინვესტირება ნიშნავს ადგილობრივი პოტენციალის გამოყენებას, რაც ხელს უწყობს რეგიონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას და მუდმივად უსწრებს წინ მათ, ვინც ჩამორჩებიან უფრო მდიდარ რეგიონებს.

10 ყველაზე დინამიკური რეგიონის GDP სამჯერ აღემატება 10 ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონს. ევროკავშირის პოლიტიკას ჯერ კიდევ სჭირდება ევროგაერთიანების ტერიტორიაზე ჰარმონიზებული განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ეს შესაძლებლობას მისცემს ევროკავშირის ყველა რეგიონს სრული სარგებელი მიიღოს საცალო ბაზრიდან და წვლილი შეიტანოს ეკონომიკური და მონეტარული / ფულადი კავშირის წარმატებაში.

ევროკოდები აადვილებს სამშენებლო პროდუქციის, სამშენებლო, არქიტექტურული და სხვა სახის მომსახურების გატანას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც ხელს უწყობს სამშენებლო ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გაზრდას ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში.

## 2.5. ერთობლივი დღის წესრიგი

ევროპულ ორგანიზაციებსა და წევრ სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ევროპის მოქალაქეები დაარწმუნონ უპირატესობაში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩაანაცვლოს

ევროგაერთიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს „ეკონომიკური საქმიანობების ჰარმონიზებული, დაბალანსებული და მდგრადი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, დასაქმებისა და სოციალური დაცვის მაღალი დონე.[...] საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და წევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და სოციალური ერთიანობა და სოლიდარობა“. ევროგაერთიანების ხელშეკრულება, მუხლი 2.

კანონმდებლობა, დანერგოს იგი სწრაფად და სწორად, თავიანთ მოქალაქეებს და ბიზნესს აცნობოს მათი უფლებების შესახებ, გადაჭრას ყველა პრობლემა რაც კი წამოიჭრება. ეს განაპირობებს მჭიდრო თანამშრომლობას მათსა და ევროკომისიას შორის, რაც ავსებს საცალო ბაზარს.



## 2.6. გაფართოება

გაფართოება არის ევროკავშირის პოლიტიკის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი. ეს არის დიდი სიფრთხილით შერჩეული პროცესი, რომელიც ეხმარება ქვეყნებს გარდაქმნაში, რაც მიიღწევა ევროპაში მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილდღეობის, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და კანონების გავრცელებით.

გაფართოების ეკონომიკური ზეგავლენა შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, რაც უფრო დიდი და ინტეგრირებულია ბაზარი, მით უფრო ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, როგორც ძველი ასევე ახალი წევრებისათვის. ახალბედა წევრები იღებენ სარგებელს დასავლეთ ევროპის კომპანიების ინვესტიციებიდან და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხიდან, რაც მათი ქვეყნის რეგიონალური და სოციალური განვითარებისათვისაა გამიზნული. ძველ წევრ სახელმწიფოებში კომპანიებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ მსოფლიო ბაზარზე ექპორტისათვის.

ევროკავშირში გაწევრიანების ერთ-ერთი კრიტერიუმია ევროპული კანონმდებლობის კრებულის მიღება და მისი ეფექტური დანერგვა შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო სტრუქტურის მეშვეობით.

## 2.7. განვითარება და დასაქმება: ლისაბონის სტრატეგიის ხელახალი წამოწყება

2000 წლის მარტში ლისაბონის ევროპის საბჭოზე ევროკავშირმა დაისახა სტრატეგიული მიზანი შემდეგი დეკადისათვის „ჰქონდეს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიკურ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, რისი საშუალებითაც მოხდება ეკონომიკის მდგრადი განვითარება, უფრო მეტი და უკეთესი დასაქმება და იქნება უფრო მეტი სოციალური ერთიანობა“. ეს სტრატეგია ეფუძნება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს საყრდენებს.

„ახლანდელი მონაცემებით ის ქვეყნები, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან 2004 წლიდან, მათი ეკონომიკა უფრო ძლიერად იზრდება სხვა ქვეყნებთან შედარებით. ეს უფრო მეტი სარგებლის მომტანია ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის [...] ევროკავშირში საცხოვრებელ სტანდარტებს შორის განსხვავება თანდათან უფრო მცირდება [...]“.

ლისაბონის სტრატეგია არის უმოკლესი გზა ამ პოლიტიკისა და სხვა მიზნების მისაღწევად.

[http://europa.eu/pol/enlarg/overview\\_en.htm](http://europa.eu/pol/enlarg/overview_en.htm)

ლისაზონის სტრატეგიის მთავარი საკითხებია:

- ეფექტური შიდა ბაზარი
- თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობა;
- უფრო უკეთესი რეგულაცია;
- ევროპის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-კონსტრუქტორული სამუშაოებში ინვესტიციების განხორციელება;
- ინოვაციისათვის ხელის შეწყობა;
- ძლიერი სამრეწველო ბაზის შექმნა;
- უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილები.

### 3. საგარეო ურთიერთობები

#### საგარეო ვაჭრობა

ევროკავშირის წვლილი შეაქვს მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაში, მამასადამე, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და განვითარებას. ევროკავშირი უზრუნველყოფს ეკონომიკურ კეთილდღეობას, სოლიდარობასა და უსაფრთხოებას ევროპაში და მთელს მსოფლიოში.

ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მიზანია საცალო ბაზრის საგარეო გაფართოება, მამასადამე, სავაჭრო შეზღუდვების მოხსნა, მაგ: ევროკავშირის ტექნიკური რეგულაციისა და შესაბამისობის დამოწმების ხელშეწყობით.

გაფართოებული ვაჭრობა მომხმარებელს აძლევს პროდუქციის ფართო არჩევანის შესაძლებლობას. კონკურენცია იმპორტსა და ადგილობრივ პროდუქციის დაბალ ფასს შორის და ზრდის ხარისხს. ლიბერალური ვაჭრობა შესაძლებლობას აძლევს მწარმოებელს სამართლიანი კონკურენცია გაუწიოს მეტოქეებს სხადასხვა ქვეყნებში. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გამჭვირვალე, ეფექტური და საყოველთაოდ მიღებული წესები.

ევროკავშირმა დაამყარა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ალბანეთთან, ბელორუსეთთან, ჩილესთან, ინდოეთთან, მექსიკასთან, სერბეთთან, სამხრეთ აფრიკასთან, შვეიცარიასთან და ვიეტნამთან. მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანთან, ბოსნია ჰერცეგოვინასთან, კანადასთან, ჩინეთთან, ირანთან, ერაყთან, ყაზახეთთან, მონტენეგროსთან, რუსეთთან და უკრაინასთან.

„ჩვეულებითი სამართლის შემუშავებით წევრი სახელმწიფოების მიზანია წვლილი შეიტანოს წევრი ქვეყნების საერთო ინტერესებში, მსოფლიო ვაჭრობის ჰარმონიზებულ განვითარებაში და საერთაშორისო ვაჭრობებში შეზღუდვების მოხსნასა და საბაჟო შეზღუდვების შემცირებაში“ ევროგაერთიანების ხელშეკრულება, მუხლი 131.

ევროკავშირი არის საქონლისა და მომსახურების წამყვანი ექსპორტიორი.

ევროპა-ხმელთაშუაზღვის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელიც ჩამოყალიბდა 2010 წელს წარმოადგენს ბარსელონას დეკლარაციის პრიორიტეტს.

ევროკავშირი ასევე ავითარებს ორმაგ რეგიონალურ ურთიერთობებს:

- ACP -ის ქვეყნებთან (აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის ქვეყნები).
- ანდების გაერთიანებათან (ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ და ვენესუელა).
- ევროპის ეკონომიკური ზონის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებთან (ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია).
- სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან (ბაჰრეინი, კუვეიტი, ომანი, კატარი, საუდის არაბეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები).
- მერკოსურთან (არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი).
- ხმელთაშუაზღვის პარტნიორებთან (ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, მოროკო, პალესტინის მთავრობა, სირია, ტუნისი და თურქეთი).

### **ევროპის კეთილმეზობლური პოლიტიკა**

ევროპის კეთილმეზობლური პოლიტიკა შემუშავდა გაფართოებულ ევროკავშირსა და ახალ მეზობლებს (მაგ. რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა) და სამხრეთ ხმელთაშუაზღვის ქვეყნებს შორის ახალი გამყოფი ხაზის თავიდან აცილების მიზნით.

შიდა ბაზრის პოლიტიკის მიზანია მარეგულირებელი სისტემების ერთ სისტემაში გაერთიანება, მაგ: მომსახურებისა და სახელმწიფო შესყიდვის. შესაბამისობის დამოწმებისა და სტანდარტიზაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით ხაზგასმულია ამ კონტექსტში. ეს გააადვილებს ვაჭრობას ევროკავშირსა და ამ ქვეყნებს შორის, რაც სარგებელს მოუტანს ორივე მხარეს.

ევროპის სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის დამოწმების სისტემის ფარგლებში ევროკავშირი წარმოადგენს რეგულაციულ დოკუმენტს სამშენებლო პროდუქციისათვის. ისინი უზრუნველყოფენ საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას, ხელს უწყობს სამრეწველო, სამეცნიერო და ტექნიკურ თანამშრომლობას, ასევე ტექნიკური რეგულაციებისა და ატესტაციის პროცედურების ერთ სისტემაში მოქცევას ევროკავშირში და მის სავაჭრო პარტნიორებთან.

## 4. უმაჯრესი ციფრები

### სტანდარტიზაცია

- კომპანიების ხელმძღვანელთა 39% აღიარებს ევროპული პროდუქციის სტანდარტების დადებით გავლენას თავიანთ საქმიანობებში<sup>1</sup>.
- დაბალი ხარისხის რეგულაცია ევროპულ ბიზნესს სულ მცირე €50 მილიარდი უჯდება წელიწადში.
- კომპანიების 87%-ის აზრით ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს წესების ერთი კრებულის შემუშავება, 25 კრებულის ნაცვლად<sup>2</sup>.



### შიდა ბაზარი

- თავისი არსებობის პირველ ათ წელიწადში საცალო ბაზარმა შექმნა 2.5 მილიონი სამუშაო ადგილი და €877 მილიარდი დამატებითი ფულადი შემოსავალი<sup>3</sup>.
- იმავე პერიოდში ევროკავშირის ექსპორტი არაწევრ სახელმწიფოებში გაიზარდა 6/9%-დან 11.2%-მდე<sup>3</sup>.
- ეფექტური შიდა ბაზარი მომსახურებაში გაზრდის ვაჭრობას 15%-დან 30%-მდე და უცხოურ ინვესტიციებს 20%-დან 35%-მდე<sup>4</sup>.
- ზოგადად, ევროკავშირის მოქალაქეები კმაყოფილი არიან საცალო ბაზრის შესაძლებლობებით და დადებითად აფასებენ პროდუქციის კონკურენციის (67%), სახეობისა (73%) და ხარისხის (58%) შედეგს<sup>5</sup>.


### სახელმწიფო შესყიდვა

- ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვის ბაზარი წარმოადგენს ევროკავშირის GDP-ის 16%-ზე მეტს<sup>6</sup>.
- იმ სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებმაც მოახდინეს სახელმწიფო შესყიდვა არსებული სახელმწიფო შესყიდვის წესების შესაბამისად, დაახლოებით 34%-ით ნაკლები გადაიხადეს, ვიდრე იმ სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებსაც სახელმწიფო შესყიდვის წესები არ გამოუყენებიათ.

### მსოფლიო ვაჭრობის წილი



### სამშენებლო პროდუქციის ინდექსი



წყარო: ევროსტატი

## სამშენებლო სექტორი

- 11.8 მილიონი ადამიანი უშუალოდ სექტორშია დასაქმებული;
- ევროკავშირში სამშენებლო სექტორი მოიცავს მთლიანი დასაქმების 7%-ს და სამრეწველო დასაქმების 28%-ს<sup>7</sup>.

<sup>1</sup> Flash Eurobarometer 190

<sup>2</sup> Commission Communication COM/2003/0238 final

<sup>3</sup> [http://ec.europa.eu/internal\\_market/top\\_layer/benefits\\_en.htm](http://ec.europa.eu/internal_market/top_layer/benefits_en.htm)

<sup>4</sup> Commission Communication COM/2005/0011

<sup>5</sup> Special Eurobarometer 254

<sup>6</sup> Commission's report on the economic effects of public procurement (03/02/2004)

<sup>7</sup> [http://ec.europa.eu/enterprise/construction/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/enterprise/construction/index_en.htm)

გაერთიანებული კვლევითი ცენტრის მიზანია აღმოუჩინოს მომხმარებლებს სამეცნიერო და ტექნიკური მხარდაჭერა ევროკავშირის ნორმატივების კონცეფციებში, შემუშავებაში, დანერგვაში და ევროკავშირის პოლიტიკის მონიტორინგში. ევროკომისიის შემადგენლობაში შემაჯავალი კვლევითი ცენტრი (JRC) არის ევროკავშირის რეფერენტული სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი, რომელიც პოლიტიკის გატარებასთან ერთად ემსახურება წევრი სახელმწიფოების საერთო ინტერესებს და ფუნქციონირებს კომერციული და ნაციონალური ინტერესებისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშულ სერიაში:

ბუკლეტები

B1: ევროკოდები: დანერგვა და გამოყენება;

B2: EN1990 როლი: საკვანძო ევროკოდი;

B3: ევროკოდები და სამშენებლო საქონელი;

B4: ევროკოდები: ევროკოდების პოლიტიკის მხარდაჭერა და კონკურენტუნარიანობის ზრდა;

B5: ევროკოდები: გამოყენებული ევროკოდები ფარგლებს გარეთ;

B6: ევროკოდები და თანამშრომლობა ხმელტაშვაზდვის ევროპულ ზონაში;

საინფორმაციო ფურცლები:

L1: ევროკოდები: რა არის ეს?

L2: ევროკოდები: იყავი მზად;

L3: ევროკოდები: კონკურენტუნარიანობის ზრდა;

L4: ევროკოდები: ინოვაციის შესაძლებლობები;

